

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და პოლიტიკა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: გარემოს დაცვის მაგისტრი /Masters in Environmental Protection

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

პროგრამის მიზანი:

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება გარემოსდაცვითი მმართველობისა და პოლიტიკის სფეროში, რომლებიც წარმატებით იმუშავენ როგორც საჯარო, ასევე კერძო, თუ საზოგადოებრივ სექტორში სხვადასხვა კვლევით, აკადემიურ თუ მენეჯერულ თანამდებობებზე. სამაგისტრო პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში ისინი შეძლებენ გარემოსდაცვითი მმართველობის საკითხებზე მუშაობას, ეფექტური გადაწყვეტის მექანიზმების დაგეგმვას, განხორციელებას და შეფასებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება ნებისმიერ სფეროში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის მიმართულებით. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს: 1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ნებისმიერ სფეროში; 2) ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ზღვრის გადალახვა. 3) შიდა საუნივერსიტეტო მისაღები პროცედურის წარმატებით გავლა (შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: 3.1 დოკუმენტაციის ანალიზი, 3.2 გასაუბრება მიმღებ კომისიასთან - რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა არჩეულ დარგში და განისაზღვროს

აპლიკანტის უნარ-ჩვევების ადეკვატურობა; 3.3 გამოცდა ინგლისურ ენაში (B2)/ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამდასტურებელი სერტიფიკატი TOEFL, IELTS, FCE).

სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება:

მაგისტრს გააჩნია სპეციალიზაციის სფეროს სიღრმისეული ცოდნა, იგი ერკვევა გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებაში, იცნობს გარემოსდაცვითი მმართველობის და პოლიტიკის მიმართულებებს, თეორიებს, არსებულ პრობლემებს და შეუძლია თავისუფლად ისაუბროს ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე. მაგისტრს სიღრმისეულად აქვს შესწავლილი გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის მართვის/ორგანიზაციული მიმართულებები, საფუძვლიანად იცნობს მართვის პრინციპებს, ფლობს გარემოსდაცვით მენეჯმენტსა და პოლიტიკაში მიღებულ კვლევის მეთოდოლოგიას, იდენტიფიცირებას ახდენს იმ გამოწვევების რაც დღეს გარემოსდაცვით სფეროში არსებობს, შესაძლებლობა აქვს მიიღოს დარგობრივი ცოდნა ნარჩენების, წყლის რესურსების, ტყის რესურსების მართვაში, ატმოსფერული ჰაერის დაცვაში, იცის თუ როგორ დაგეგმოს კვლევა, კარგად ფლობს ინგლისურ ენას და შეუძლია აკადემიური/კვლევითი ნაშრომის (სტატიის) მომზადება, ზედმიწევნით იცნობს გარემოსდაცვითი მმართველობისთვის პოლიტიკის განსაზღვრისთვის საჭირო თეორიებს, გერმოსდაცვითი ეკონომიკის პრინციპებს, იცნობს მდგრადი ენერჯეტიკის პოლიტიკას, სიღრმისეულად ფლობს ზემოქმედების შეფასების ინსტრუმენტებს, გზშ, RIA, GIS.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მაგისტრი შეძლებს მის პრაქტიკაში გამოყენებასა და დანერგვას. სასწავლო პროცესში რეალური ქეისების განხილვა, პრაქტიკული სამუშაოების და ღონისძიებების განხორციელება, მაგისტრს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს უძლიერებს. მაგისტრს გააჩნია ახალი იდეების გენერირების უნარი და შესწევს დროის/რესურსის სიმცირის პირობებშიც ადეკვატური და ეფექტური გზების დანახვის უნარი პრობლემატური სიტუაციის გადასაჭრელად. მაგისტრი ეფექტურად იყენებს მოცემულ სფეროში მიღებულ ცოდნას და აქვს უნარი ეს ცოდნა სრულად გამოიყენოს სამუშაო ადგილას. მაგისტრი ითვისებს ისეთ პრაქტიკულ უნარებს, როგორცაა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის, მეორად მონაცემებთან მუშაობისა და მათი ანალიზის, პრეზენტაციის მომზადების, საჯარო გამოსვლები, გარემოსდაცვითი მენეჯმენტისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. კვლევითი და აკადემიური პროექტების, სადიპლომო ნაშრომების მომზადების დროს მაგისტრი პრაქტიკულად ითავისებს კვლევის ეფექტურად და სიღრმისეულად წარმართვის უნარს.

მაგისტრი სიღრმისეულად ერკვევა გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებაში, შესაბამის საკანონმდებლო ასპექტებს და შეუძლია თავისუფლად ისაუბროს ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე. მაგისტრს აქვს გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის სფეროში წამოჭრილი პრობლემების ადეკვატური გადაწყვეტისათვის შესაბამისი სტრატეგიებისა და პროექტების შემუშავებისა და განხორციელების უნარი. შეუძლია დაგეგმოს გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელების პროცესი და შეიმუშავოს პროცესის შესაბამისი მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმები. სახელმწიფო - ცენტრალურ თუ ადგილობრივ, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებში სასწავლო პრაქტიკის გავლით (სურვილის შემთხვევაში), მაგისტრი ითვისებს რეალურ ორგანიზაციულ კონტექსტში ეფექტური მუშაობის უნარს.

დასკვნის უნარი:

მაგისტრი ფლობს პრობლემის ამოცნობისა და მისი ჩამოყალიბების უნარს, შეუძლია პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური გზის შერჩევა და საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთება. მაგისტრს შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და დასაბუთებული დასკვნის გაკეთება. მაგისტრი აღჭურვილია მის გარშემო მიმდინარე მოვლენებისა და მონაცემების ანალიზის უნარით. შეუძლია მათი სინთეზურად განსჯა.

მაგისტრს გააჩნია გარემოს დაცვის მენეჯმენტის და პოლიტიკის სფეროში არსებული პრობლემების მრავალმხრივი ხედვისა და მათი კრიტიკული ანალიზის და შესაბამის დასკვნაში გადატანის უნარი. სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მაგისტრმა იცის, თუ როგორ უნდა შეაფასოს განხორციელებული სამუშაო, მისი ადეკვატურობა დასახულ მიზნებთან, განაზოგადოს მიღებული შედეგები და დაშვებული შეცდომები და მიღებული გამოცდილება მომავალი დაგეგმვის პროცესში გამოიყენოს. სწავლების ფორმატიდან გამომდინარე, მაგისტრი ითვისებს აბსტრაქტული აზროვნების უნარს, რომელიც საშუალებას აძლევს მიღებული ინფორმაციის სწორად გააზრების, არგუმენტაციის ანალიზის, მსჯელობის აგებისა და დამუშავებული ინფორმაციის სინთეზირების უნარს.

პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგისტრს შეუძლია გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა პოლიტიკის სფეროში სამეცნიერო კვლევითი ნაშრომების გაანალიზება, მეცნიერულად დასაბუთებული პოზიციის გამოყოფა და კომპეტენტური დასკვნის გამოტანა. აქვს გარემოსდაცვით სფეროში პრობლემების გადაწყვეტის ანალიტიკური ჩარჩოს შესახებ ინფორმაცია, შეუძლია ანალიზი, პროცესების დაგეგმვა და განხორციელება, სინთეზურად სჯის და კრიტიკულად აანალიზებს მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს და იყენებს მას გარემოსდაცვითი მენეჯმენტის პროცესში.

კომუნიკაციის უნარი:

მაგისტრს ეფექტურად შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და ინგლისურ ენაზე გადასცეს საკუთარი დასკვნები და არგუმენტები. შეუძლია ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების ათვისება, ინგლისურ ენაზე მიღებული ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავება. პროგრამის სასწავლო ფორმატი, ისევე როგორც ტრანსფერული უნარების გადაცემაზე ორიენტირებული კურსები, მაგისტრს უყალიბებს გუნდში ნაყოფიერი მუშაობის უნარ-ჩვევას.

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და პოლიტიკის პროგრამის სტუდენტი ფლობს აკადემიური ნაშრომების შექმნის, კვლევითი პროექტების წერილობითი და ზეპირი ფორმით წარმოდგენის ტექნიკას; სტუდენტი იყენებს ინგლისურენოვან ლიტერატურას ძირითადი საგნების შესწავლისას. მაგისტრს გააჩნია როგორც განსხვავებული აზრის გაგების, ისე საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი. სწავლების ფორმატიდან გამომდინარე, მაგისტრი ითვისებს მისთვის უცხო გარემოში სწორი კომუნიკაციის, დროული ადაპტაციისა და ადეკვატური რეაგირების მეთოდებს. საჭიროების შემთხვევებში, მაგისტრს გააჩნია სხვადასხვა პოლიტიკურ თუ ორგანიზაციულ პროცესებში ინდივიდებისა და ჯგუფების ჩართულობის უზრუნველყოფისა და მოსახლეობასთან მუშაობის უნარი. პროგრამის სასწავლო ფორმატი მაგისტრს უყალიბებს ლიდერის თვისებებს, ასევე გუნდში ნაყოფიერი მუშაობის უნარ-ჩვევას. გარემოსდაცვით პროცესებზე ეფექტური გადაწყვეტილების და ანალიზის უნარს.

სწავლის უნარი:

მაგისტრი დამოუკიდებლად წარმართავს სწავლის პროცესს, ავლენს სწავლის პროცესის თავისებურებების სრულად გაცნობიერებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მაღალ დონეს. მაგისტრს აქვს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით პროფესიული ზრდისკენ სწრაფვა, რაც გულისხმობს, როგორც პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას, ასევე სამეცნიერო საქმიანობის წარმოებას გარემოსდაცვით სფეროში. აქვს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და პოლიტიკის სფეროში უახლესი მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. შეუძლია დამოუკიდებლად გაიფართოვოს ცოდნა სფეროში მიმდინარე სიახლეებზე დაყრდნობით. იყენებს მეორად ლიტერატურას და თვისებრივი და რაოდენობრივ მეთოდებს ახალი ცოდნის შესაქმნელად, იძიებს ადეკვატურ სასწავლო/ინფორმაციულ რესურსებს და სწორად იყენებს მას. მაგისტრს შეუძლია დამოუკიდებლად წარმართოს აკადემიური, კვლევითი ან პრაქტიკული საქმიანობა და/ან სწავლა განაგრძოს სადოქტორო პროგრამაზე

ღირებულებები:

მაგისტრს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული გარემოსდაცვით სფეროში მოქმედი/ადიარებულ ღირებულებათა სისტემა, მათ შორის მდგრადი განვითარების პრინციპები, გარემოსდაცვითი ეთიკა, ბიომრავალფეროვნების დაცვა; ასევე აქვს უნარი შეაფასოს და ადეკვატურად აღიქვას სხვათა ღირებულებათა სისტემა, აფასებს თავის და სხვების დამოკიდებულებას ამ ღირებულებებისადმი და პასუხისმგებლობით იცავს პროფესიული საქმიანობის ეთიკას. მას გააჩნია განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი, აქვს სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების უნარი. სრულად გაცნობიერებული აქვს თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერული საკითხების მნიშვნელობა.

მაგისტრი იზიარებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს. აქვს ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარი და აღჭურვილია სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობით, პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით, იცავს სამეცნიერო კვლევით ეთიკას, იცავს მოქალაქეებთან ურთიერთობის მაღალ სტანდარტს, მაგისტრს აქვს კრიტიკის კორექტულად გამოთქმისა და მიღების უნარი.

სწავლება-სწავლის მეთოდები:

- ლექცია
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა
- პრაქტიკული მუშაობა
- სემინარი
- ელექტრონული რესურსით სწავლება
- ელექტრონული სწავლება

სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

გარემოს დაცვის მენეჯმენტი და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

გარემოს დაცვის მენეჯმენტი და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

გარემოს დაცვის მენეჯმენტი და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. გარემოს დაცვის მენეჯმენტი და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

გარემოს დაცვის მენეჯმენტი და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4

B = 3, 2

C = 2, 4

D = 1, 6

E = 0, 8

დასაქმების სფერო:

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს მიღებული ცოდნის საფუძველზე შესაძლებლობა ექნებათ პროფესიულად განვითარდნენ და წარმატებული კარიერა განახორციელონ როგორც საჯარო სექტორში, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და კერძო სექტორში, რასაც უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გარემოს დაცვის მიმართულებით სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

გარემოს დაცვის მენეჯმენტი და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

გარემოს დაცვის მენეჯმენტი და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

გარემოს დაცვის მენეჯმენტი და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს გარემოს დაცვის მენეჯმენტი და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - გარემოს დაცვის მენეჯმენტის და პოლიტიკის სამაგისტრო ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ და იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journals; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს გარემოს დაცვის მენეჯმენტი და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ხელმძღვანელი:

მაია ზავრაშვილი

იეთიმ გურჯის ქუჩა #7ბ
თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: (995 32) 249 75 00
მობ: (995) 591 222 227
e-mail: m.zavrashvili@gipa.ge

ნანა მაჭარაშვილი

იეთიმ გურჯის ქუჩა #7ბ
თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: (995 32) 249 75 00
მობ: (995) 593 488 211
e-mail: n.baramidze@gipa.ge

პროგრამის სტრუქტურის აღწერა

სამაგისტრო პროგრამა ორ წლიანია და სასწავლო წესით განსაზღვრული 120 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში სტუდენტს მიენიჭება გარემოსდაცვის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. სავალდებულო სასწავლო კრედიტების ჯამი შეადგენს 55 ECTS-ს, სავალდებულო პრაქტიკა - 10 ECTS და სამაგისტრო ნაშრომი 30 ECTS-ს. ხოლო დარჩენილ 25 კრედიტს სტუდენტი აგროვებს არჩევით საგნების მეშვეობით.

სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა თუმცა, პროგრამაზე სწავლის პერიოდში რეკომენდირებულია კრედიტების დაგროვების შემდეგი მეთოდი: სტუდენტი პირველ და მეორე სასწავლო სემესტრში აგროვებს 26 ECTS დან 34 ECTS-მდე მოცულობით კრედიტს, მესამე სემესტრში აგროვებს 20 ECTS კრედიტს, ხოლო მეოთხე სემესტრში სტუდენტმა უნდა გაიაროს სავალდებულო პოლიტიკის ლაბორატორიის პრაქტიკული კურსი (ჯამში 10 ECTS) და წერს სამაგისტრო ნაშრომს (30 ECTS), რომლის დაცვის შემდეგაც მას მიენიჭება მაგისტრის ხარისხი.

გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამაზე კრედიტების დაგროვების რეკომენდირებული სქემა

პირველი სემესტრი	მეორე სემესტრი	მესამე სემესტრი	მეოთხე სემესტრი
<ul style="list-style-type: none">•სტუდენტი წარმატებით აგროვებს 26 ECTS-ს	<ul style="list-style-type: none">•სტუდენტი სრულად აგროვებს სავალდებულო 24 კრედიტს და•არჩევით 10 კრედიტს.	<ul style="list-style-type: none">•აგროვებს სავალდებულო 5 კრედიტს•და არჩევით 15 კრედიტს	<ul style="list-style-type: none">•გადის პოლიტიკის ლაბორატორიას და აგროვებს 10 კრედიტს•სტუდენტი იცავს სამაგისტრო ნაშრომს

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	დაშვების წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი				სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ¹	
				I წელი		II წელი		საკონტაქტო საათები ²	დამოუკიდებელი საათები ³
				სემესტრი					
				I	II	III	IV		
სასწავლო კომპონენტი⁴									
სავალდებულო სასწავლო კურსები				26	24	5			
1.	ENR 011609	არ აქვს	გარემოს დაცვის გამოწვევები	5/125				30	95
2.	PLF011605	არ აქვს	საჯარო სამართლის საფუძვლები	5/125				30	95
3.	ENR 011607	PLF011605	საერთაშორისო ეკოლოგიური სამართალი	5/125				30	95
4.	ENR 110203	არ აქვს	ეფექტური კომუნიკაციის საფუძვლები გარემოს დაცვით სფეროში (PR, საჯარო გამოსვლები, ლიდერობა)	6/150				39	111
5.	ENR 011616	არ აქვს	გარემოს დაცვის ეკონომიკა	5/125				30	95
6.	ENR 011611	ENR 011609 ENR 110203	გარემოს დაცვითი მართვის ინსტრუმენტები		5/125			30	95
7.	HE060101	არ აქვს	კვლევის მეთოდები და აკადემიური წერა		7/175			48	127
8.	ENR011615	ENR 011609 ENR 011611	გარემოს დაცვის პოლიტიკა		5/125			30	95
9.	ENR011613	ENR 011609 ENR 011611 ENR011615	ზემოქმედების შეფასების ინსტრუმენტები		7/175			48	127
10.	PPS 011603	PLF011605 ENR 011616	პროექტების მართვა და ბიუჯეტირება გარემოს დაცვით სფეროში			5/125		30	95

¹დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

²საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

³საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

⁴საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის ან სხვა კომპონენტის სახით.

არჩევითი სასწავლო კურსები				10	15			
1.	ENR 011618	არ აქვს	ბიომრავალფეროვნების მართვა და კონსერვაცია	4/100			24	76
2.	ENR 011624	არ აქვს	ნარჩენების მართვა	3/75			21	54
3.	ENR 011625	არ აქვს	ტყის რესურსებისა და მიწის რესურსების მართვა	4/100			18	76
4.	ENR011610	არ აქვს	გარემო და კონფლიქტები	5/125			30	95
5.	ENR 011627	არ აქვს	ატმოსფერული ჰაერის დაცვა	3/75			21	54
6.	PP-II-004	არ აქვს	ეთიკა საჯარო სამსახურში	5/125			30	95
7.	PP-A-004	არ აქვს	პოლიტიკური ლობიზმი და ადვოკატირება	6/150			36	114
8.	ENR 011620	არ აქვს	კლიმატის ცვლილება და მისი ასპექტები		5/125		30	95
9.	ENR 011619	არ აქვს	წყლის რესურსების მართვის პრინციპები		5/125		30	95
10.	ENR011622	არ აქვს	გის და სივრცითი გეგმარების მენეჯმენტი გარემოსდაცვით საკითხებში		5/125		30	95
11.	ENR 110203	არ აქვს	მდგრადი ენერჯეტიკის პოლიტიკა		5/125		30	95
პრაქტიკული კომპონენტი							10	
1.		80 ECTS	Policy lab (პრაქტიკა)				10/250	60 190
კვლევითი კომპონენტი⁵							30	
1.		90 ECTS	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა				30/750	
				სემესტრში	26	34	20	40
				წელიწადში	60		60	
				სულ	120			

⁵ საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო სამაგისტრო ნაშრომის სახით

სწავლების შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	მოდული/საგანი	კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
		სავალდებულო სასწავლო კურსები						
1.	ENR 011609	გარემოს დაცვის გამოწვევები	X	X	X	X	X	X
2.	PLF011605	საჯარო სამართლის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
3.	ENR 011607	გარემოს დაცვის სამართალი	X	X	X	X	X	X
4.	ENR 110203	ეფექტური კომუნიკაციის საფუძვლები გარემოს დაცვით სფეროში (PR, საჯარო გამოსვლები, ლიდერობა)	X	X		X		
5.	ENR 011616	გარემოს დაცვის ეკონომიკა	X	X	X	X	X	X
6.	ENR 011611	გარემოს დაცვის მართვის ინსტრუმენტები	X	X	X	X	X	X
7.	HE060101	კვლევის მეთოდები და აკადემიური წერა	X	X	X	X	X	X
8.	ENR011615	გარემოს დაცვის პოლიტიკა	X	X	X	X	X	X
9.	ENR011613	ზემოქმედების შეფასების ინსტრუმენტები	X	X	X	X	X	X
10.	PPS 011603	პროექტების მართვა და ბიუჯეტირება გარემოს დაცვით სფეროში	X	X		X		
11.	ENR-LAB 001	Policy lab (პრაქტიკა)	X	X	X	X	X	X
12.	ENR 01001	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა	X	X	X	X	X	X
		არჩევითი სასწავლო კურსები						
1.	ENR 011618	ბიომრავალფეროვნების მართვა და კონსერვაცია	X	X	X	X	X	X
2.	ENR 011620	კლიმატის ცვლილება და მისი ასპექტები	X	X	X	X		
3.	ENR 011624	ნარჩენების მართვა	X	X	X	X	X	X
4.	ENR 011619	წყლის რესურსების მართვის პრინციპები	X	X	X		X	X
5.	ENR 011625	ტყის რესურსებისა და მიწის რესურსების მართვა	X	X	X	X	X	X
6.	ENR011622	გის და სივრცითი გეგმარების მენეჯმენტი გარემოსდაცვით საკითხებში	X	X	X	X	X	X

7.	ENR 110203	მდგრადი ენერჯეტიკის პოლიტიკა	X	X		X		
8.	ENR011610	გარემო და კონფლიქტები	X	X	X	X	X	X
9.	ENR 011627	ატმოსფერული ჰაერის დაცვა	X	X	X	X	X	X
10.	PP-II-004	ეთიკა საჯარო სამსახურში	X	X	X			X
11.	PP-A-004	პოლიტიკური ლობიზმი და ადვოკატირება	X			X		X

(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	მაია ზავრაშვილი		
თანამდებობა	ასისტენტი		
სამუშაო ადგილი	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი		
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	591222227	ელ-ფოსტა: m.zavrashvili@gipa.ge
<p>გამოცდილება:</p> <p>საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე; სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე; სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი,;</p> <p>მოქმედი სამსახური :</p> <p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - წიადის ეროვნული სააგენტოს უფროსი</p> <p>კვლევები და პუბლიკაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ადმინისტრაციული სამართალი, ოქტომბერი / 2012 ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა მოხელის მიერ მიყენებული ზიანისთვის • ადმინისტრაციული სამართლის პროცესი, აპრილი / 2011 სარჩელის დასაშვებობა და დასაბუთებულობა ადმინისტრაციულ სასამართლოებში • ადმინისტრაციული სამართალი, მაისი / 2010 კანონიერი ნდობის პრინციპი • 2018 წლიდან არის GIPA-ს ასისტენტი და გარემოს დაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი 			

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე
(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	ნანა მაჭარაშვილი
თანამდებობა	პროფესორი

სამუშაო ადგილი	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი		
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	593488211	ელ-ფოსტა: nana.macharashvili@gipa.ge
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	ეროვნული შერიგების პოლიტიკის საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოს შემთხვევის ანალიზი (2007, თსუ) საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება, საჯარო სექტორის რეფორმირების წარმატების საფუძვლები, საჯარო სექტორის რეფორმირების ჩარჩოები - ახალი საჯარო მენეჯმენტიდან საჯარო მმართველობამდე, საზოგადოებრივი ჩართულობა საჯარო პოლიტიკის პროცესში და პოლიტიკის ადვოკატირების სტრატეგიები.		
პუბლიკაციები	<ol style="list-style-type: none"> 1. Véronique Dudouet, Alia Ashaq, Ekaterine Basilaia and Nani Macharashvili, From Policy to Action: Assessing the European Union’s Approach to Inclusive Mediation and Dialogue Support in Georgia and Yemen. Peacebuilding Special Issue (in proceeding) 2. Lia Tsuladze, Nana Macharashvili & Ketevan Pachulia (2017), SOS Tbilisi, Problems of Post-Communism 3. DOI: 10.1080/10758216.2017.1308228 4. Macharashvili, N., Basilaia, E, Tangiashvili, N. (2015) Policy Advocacy Success in Georgia: The Role and Limitations of NGOs in Influencing Public Policy, Tbilisi (manuscript on Georgian and English Languages). file:///C:/Users/User/Downloads/Macharashvili_2015_Policy%20Advocacy%20Success%20in%20Georgia_eng.pdf 5. N.Macharashvili, N.Vasadze, (2013) Book review for Ricketts, A. (2012) The Activists' Handbook: A Step-by-Step Guide to Participative Democracy, Zed BooksL London, NY, in <i>Community Development Journal</i> (2013) 48 (4): 648-651. Macharashvili N. (2011) Windows of Opportunity for governmental and non-governmental organization partnership in Georgia. Annual Publication. <i>Center of Training and Consultancy</i>. 2010 6. Macharashvili N. (2010) Public Sector Reforming in Georgia: Consumer oriented models VS citizen engagement. Annual Publication. <i>Center of Training and Consultancy</i>. 2009. 7. Macharashvili N. (ed.). (2009) Textbook Materials in Public Policy and Policymaking. Institute of Political Science. 8. Macharashvili N (2008), The Prospects for The New Public Management Model in contemporary Georgia. Tbilisi: <i>Georgian Political Science Quarterly</i>. Institute of Political Science. 9. Macharashvili N (2007), National Reconciliation as the toll for Peace building and Reaching National Consensus in the Post conflict Society, Tbilisi: Institute of Political Science. 10. Macharashvili, (2007), Georgia Following International Experience of National Reconciliation by Rejecting the Retributive Model? The <i>CA&CC Press@ AB /Central Asia & Central Caucasus Press AB/</i>, THE Caucasus & Globalization, Journal of Social, Political and Economic Studies, Vol. 1 (4). 11. Macharashvili N., (2007), Political Forum: 15 years of Independence. <i>Politics and Society</i>, Caucasus institute for Peace, Democracy and Development, Tbilisi.. http://www.cipdd.org/files/7_284_473910_Politfor.pdf 12. Macharashvili N., (2006) <i>Policy Analysis</i>, Textbook for Advanced Master Course in Policy Analysis, Center for Social Science. Tbilisi. 13. Macharashvili N., (2005), “International Experience of National Reconciliation: Which Model Will Georgia Choose?”, <i>Tselitsdeuli - Year-Book of the Institute of Political Sciences of Academy of Georgia</i>. 14. Macharashvili N., (2004), „Spanish Experience of National Reconciliation Process”. <i>Politica</i>, Vol..5-6. 15. Macharashvili N., (2001), „International Experience of National Reconciliation Process and Georgia”. <i>Political Technologies</i>, Vol.1. 16. Macharashvili N., (2000), „Human Rights Defending in Georgia”, Book chapter, POLITOLOGIA. Course Material Collection. Tbilisi. 17. Macharashvili N., (1998), Compromise as the phenomena of Political Culture, Collection of Students’ resarch papers dedicated to the cultural history and theory issues, Tbilisi. 		

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

№	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1.	ნანა მაჭარაშვილი	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> კვლევის მეთოდები, დიზაინი და აკადემიური წერა
2.	ანა გორგოძე	ასისტენტი	<ul style="list-style-type: none"> ეფექტური კომუნიკაციის საფუძვლები გარემოს დაცვით სფეროში
3.	კახა ბახტაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> პროექტის მართვა და ბიუჯეტირება გარემოს დაცვის სფეროში
4.	ქეთევან გუჯარაიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> გარემოს დაცვის ზემოქმედების შეფასების ინსტრუმენტები გარემოს დაცვის მართვის ინსტრუმენტები გარემო და კონფლიქტები
5.	ნინო თანდილაშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> გარემოს დაცვის პოლიტიკა
6.	ლაშა არევამე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> გარემოს დაცვის ეკონომიკა
7.	ირაკლი შავგულიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ბიომრავალფეროვნების მართვა და კონსერვაცია
8.	კახა არცივაძე	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> ბიომრავალფეროვნების მართვა და კონსერვაცია გარემოს დაცვის ძირითადი გამოწვევები
9.	ელისო ბარნოვი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> წყლის რესურსების მართვის პრინციპები
10.	ირაკლი ქობულაია	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> წყლის რესურსების მართვის პრინციპები
11.	ხათუნა გიგაური	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> კლიმატის ცვლილება და მისი ასპექტები
12.	მურმან მარგველაშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> მდგრადი ენერჯეტიკის პოლიტიკა
13.	ნიკა არევამე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> გის და სივრცითი გეგმარების მენეჯმენტი გარემოსდაცვით საკითხებში
14.	აკაკი ჩალათაშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ნარჩენების მართვა
15.	ნოე მეგრელიშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ატმოსფერული ჰაერის დაცვა
16.	ერიშ მისი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ტყის რესურსებისა და მიწის რესურსების მართვა
17.	ია პაპიაშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ეფექტური კომუნიკაციის საფუძვლები გარემოს დაცვით სფეროში

18.	არჩილ თალაკვაძე	მოწვეული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • ეფექტური კომუნიკაციის საფუძვლები გარემოს დაცვით სფეროში
19.	მაია ზავრაშვილი	ასისტენტი	<ul style="list-style-type: none"> • ეთიკა საჯარო სამსახურში • გარემოს დაცვის ძირითადი გამოწვევები
20.	თამარ კობერიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • პოლიტიკური ლობიზმი და ადვოკატირება
21.	დავით ჯანდიერი	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • საჯარო სამართლის საფუძვლები
22.	მერაბ ბარბაქაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • გარემოს დაცვის სამართალი